ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N13

ქ. თბილისი

21/11/2016 წ.

ერთის მხრივ, შპს ,,EXPRESS'' (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს¹" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 სატრანსპორტო საშუალება ტოიოტა კოროლას (სახ. ნომერი XDX-247) (CPV კოდი: 50112000) (შემდგომში – მომსახურება) სათადარიგო ნაწილების შესყიდვა თანამდევი მომსახურებით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

N	სათადარიგო ნაწილი	ცალი/ ლიტრი	ერთეულ. ღირებ.	ნაწილის შეცვლის მომსახურ. ღირებ.	ჯამური ღირებ.
1	გადაბმულობის საკისარი	1	70	200	1009
2	გადაბმულობის ქურო	1	170		
3	გადაბმულობის დისკი	1	569		
4	ყუმბარის ჩობალი მცხ.	1	30	-	30
5	გადაბმულობის კოლოფის ზეთი	2	25.7	-	51.40
				ჯამი:	1090.40

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1090.40 (ერთიათასოთხმოცდაათი და ორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,EXPRESS''-ის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე ლუარსაბ ჩიკვაიძე.

4.2. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ა/ფ (ელ. გამოწერის) გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით.

5.2. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N5.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე

ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:
შპს ,,EXPRESS''
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი N2.
საიდენტიფიკაციო კოდი 205268707
სს „ლიბერთი ბანკის" ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა N GE95LB0113164222185000

_____

დირექტორი
ლევან ჩიკვაიძე

მიმწოდებელი:
შპს „თეგეტა მოტორსი"
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5.
საიდენტიფიკაციო კოდი 202177205
,,თიბისი ბანკი''
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა N GE80TB0600000024467853

_____

გენერალური დირექტორი
თემურ კოხოძე